

შპს “მტკვარი ჰოლდინგი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:


1	შპს “მტკვარი ჰოლდინგი“ და მისი საქმიანობა	6
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	6
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	7
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას	17
5	ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	19
6	სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში	21
7	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
8	ძირითადი საშუალებები	25
9	აქტივების გამოყენების უფლებები და საიჯარო ვალდებულებები	27
10	ვადიანი დეპოზიტები	27
11	სხვა საგადასახადო აქტივები	28
12	გაცემული სესხები	28
13	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28
14	ფული და ფულის ეკვივალენტები	29
15	საკუთარი კაპიტალი და კაპიტალის მართვა	29
16	სესხები	29
17	საფინანსო საქმიანობებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეჯერება	30
18	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31
19	რეალური ღირებულებები და რისკის მართვა	31
20	კაპიტალის მართვა	37
21	გაუთვალისწინებელი გარემოებები	38
22	პირობითი ვალდებულებები	38
23	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	39
24	სააღრიცხვო პოლიტიკები იჯარებისთვის 2019 წლის 1 იანვრამდე	40

შპს “მტკვარი ჰოლდინგი”

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	147,531	94,700
არამატერიალური აქტივები		1	3
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	8	15,234	19,678
აქტივების გამოყენების უფლებები	9	953	-
ვადიანი დეპოზიტები	10	3,457	2,784
სულ გრძელვადიანი აქტივები		167,176	117,165
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		178	310
სხვა საგადასახადო აქტივები	11	4,635	5,813
გაცემული სესხები	12	1,112	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	4,939	4,837
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	18,225	3,440
სულ მიმდინარე აქტივები		29,089	14,400
სულ აქტივები		196,265	131,565
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	211,328	177,346
დაგროვილი ზარალი		(163,265)	(153,545)
სულ საკუთარი კაპიტალი		48,063	23,800
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	16	124,107	81,017
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	17,552	2,786
საიჯარო ვალდებულებები	9, 17	803	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		142,462	83,803
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	16	4,234	11,860
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	1,316	12,102
საიჯარო ვალდებულებები	9, 17	190	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,740	23,962
სულ ვალდებულებები		148,202	107,765
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		196,265	131,565

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 8 სექტემბერს და ხელმოწერილია მისი სახელით:


 ლეონტინა გალდავა
 დირექტორი

შპს “მტკვარი ჰოლდინგი”

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2019	2018
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(765)	(763)
ცვეთა და ამორტიზაცია	8, 9	(195)	(118)
ქონების გადასახადის ხარჯი		(1,215)	(180)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი	8	-	(16,758)
წმინდა საკუთრო ზარალი		(7,174)	(5,014)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გასვლიდან		5	(270)
სესხის ვადამდე დაფარვით მიღებული მოგება	16, 17	2,013	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(1,474)	(1,393)
საოპერაციო ზარალი		(8,805)	(24,496)
ფინანსური შემოსავალი		250	151
ფინანსური ხარჯები		(1,164)	(827)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(9,719)	(25,172)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(9,719)	(25,172)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(9,719)	(25,172)

შპს “მტკვარი ჰოლდინგი”
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

<i>ათას ქართულ ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>დაგროვილი ზარალი</i>	<i>სულ საკუთარი კაპიტალი</i>
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		171,918	(128,374)	43,544
სულ წლის სრული ზარალი		-	(25,172)	(25,172)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15	5,428	-	5,428
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		177,346	(153,546)	43,120
სულ წლის სრული ზარალი		-	(9,719)	(9,719)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15	33,982	-	33,982
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		211,328	(163,265)	48,063

შპს „მტკვარი ჰოლდინგ“
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(9,719)	(25,172)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა და გაუფასურება	8	195	118
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია და გაუფასურება		-	16,758
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გასვლიდან	8	(5)	270
მარაგების ჩამოწერა		133	-
ფინანსური შემოსავალი		(586)	149
ფინანსური ხარჯები	16	1,164	(149)
სესხის ვადამდე დაფარვით მიღებული მოგება		(2,013)	827
წმინდა საკურსო ზარალი		6,891	5,003
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		(3,940)	(2,196)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლება/(ზრდა)		219	(361)
მარაგების ზრდა		(1)	(135)
სხვა საგადასახადო აქტივების კლება	11	1,178	7,345
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		2,990	49
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		28	45
გადახდილი პროცენტი		(1,086)	(786)
საოპერაციო საქმიანობიდან (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(612)	3,961
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(36,784)	(48,802)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	8	5	316
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(365)
შემოსავალი არამატერიალური აქტივების გასვლიდან		-	330
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(36,779)	(48,521)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღება	16	28,906	23,181
სესხების დაფარვა	16	(10,116)	-
საიჯარო ვალდებულებებში ცვლილება	17	197	-
გაცემული სესხები	12	(1,000)	-
მეწილეების მიერ კაპიტალში შენატანები აქციების გამოშვების გარდა	15	33,982	5,429
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		51,969	28,610
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		207	(657)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		3,440	20,047
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		18,225	3,440

1 შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს „მტკვარი ჰოლდინგისთვის“ („კომპანია“).

კომპანია დაარსდა და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მშობელ კომპანიას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯი სი ეფ ლუქსემბურგი, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, რომლის საბოლოო მაკონტროლებელს წარმოადგენს ჯი სი ეფ ელპი (კაიშანის კუთვნილებაზე რეგისტრირებული).

ძირითადი საქმიანობა. შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ არის შპს „მტკვარი ჰესის“ („შვილობილი“) მშობელი კომპანია (ერთად „ჯგუფი“), რომლის მთავარი საქმიანობაა საქართველოში, ახალციხეში ჰიდროელექტროსადგურის („ჰესი“) მშენებლობა, განვითარება და ოპერირება.

რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი N37მ, 0162, თბილისი, საქართველო.

სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში, რომელიც ჯგუფის ანგარიშგების ვალუტაა.

შვილობილს, საქართველოს მთავრობასა და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემების კომერციული ოპერატორს“ შორის 2019 წლის 15 თებერვალს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, ჯგუფმა საქართველოს მთავრობის წინაშე აიღო ვალდებულება 2020 წლის ბოლოსთვის აეშენებინა ჰიდროელექტროსადგური სულ მცირე 43 მეგავატი და მაქსიმუმ 58 მეგავატი სიმძლავრით მდინარე მტკვარზე, ახალციხეში, საქართველო. ივარაუდება, რომ ჰესს ექნება ზედა წერტილი ზღვის დონიდან 1,015 მეტრის ზემოთ და ქვედა წერტილი ზღვის დონიდან 909 მეტრის ზემოთ, და 227 - 234 გიგავატი ოდენობის წლიური ელექტროენერგიის გამომუშავების შესაძლებლობა.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო. საქართველოში გრძელდება განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლების განვითარება. საქართველოს საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი საფუძვლები აგრძელებენ განვითარებას და განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და ხშირი ცვლილებების საგანია. საოპერაციო გარემოს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა შპს „მტკვარი ჰოლდინგის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ გათვალისწინოს გარემოება, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ამ ეფექტს, არსებობის შემთხვევაში, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ზომას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

კონსოლიდაციის საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“) საწყისი ღირებულების მეთოდით, რომელიც შეცვლილია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გარდა, ცვლილებები, რომლებიც გამომდინარეობს ფასს 16-დან, იკარა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ამ პოლიტიკასთან 2019 წლის 1 იანვრიდან, იხილეთ შენიშვნები 5 და 21.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება მოითხოვს არსებით სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს, რომ მენეჯმენტმა გამოიყენოს თავისი შეფასებები ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, რომლებიც საჭიროებს უფრო მაღალი ხარისხის განსჯას ან სირთულეს, ან ის სფეროებს, სადაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია დაშვებები და შეფასებები, მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი შვილობილის ფინანსურ მონაცემებს. შვილობილი კონტროლდება მშობელი კომპანიის მიერ, თუ მშობელ კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება ზეგავლენა მოახდინოს შვილობილ კომპანიაში მიმდინარე მოვლენებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე;
- აქვს შესაძლებლობა თავისი ჩართულობით მოახდინოს გავლენა შვილობილის შემოსავლებზე;
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი ძალა, რათა ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

კომპანია ყოველწლიურად აფასებს აქვს თუ არა კონტროლი შვილობილზე, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლის სამი ელემენტის ერთ ან მეტ ნაწილში ცვლილებები.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. შემოსავალი ან ზარალი წარმოიქმნილი ასეთი ოპერაციების ფარგლებში ანგარიშსწორებისას და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც წმინდა საკურსო მოგება/ზარალი. საკურსო სხვაობიდან მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე არის განსხვავება სამუშაო ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას პერიოდის დასაწყისში, კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და გადახდებით პერიოდის განმავლობაში, და ამორტიზებულ ღირებულებას შორის უცხოურ ვალუტაში, რომელიც გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით.

შემოსავალი ან ზარალი წარმოიქმნილი ასეთი ოპერაციების ფარგლებში ანგარიშსწორებისას და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც წმინდა საკურსო მოგება/ზარალი. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო („დოლარი“) 1 აშშ დოლარი - 2.8677 ლარი, (2018 წლის 31 დეკემბერს: 1 აშშ დოლარი - 2.6766 ლარი). ყველა ფინანსური ინფორმაცია, წარმოდგენილი ლარში, დამრგვალებულია უახლოეს მეათასედებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

ძირითადი საშუალება. ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება. ძირითადი საშუალება მოიცავს მშენებარე აქტივებს, რომლებიც სამომავლოდ გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ძირითადი საშუალება.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება განცალკევებულ აქტივად, შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების დანახარჯები კაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯებით და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში. გასულ წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი კომპენსირდება, შესაბამისად, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებებში ცვლილებებს.

მოგება და ზარალი გასვლისას განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობის და საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწა არ იცვითება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ღირებულების განაწილებით შესაბამის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ამჟამად გამოყენებაში არსებული მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 წელი. საიჯარო ქონების გაუმჯობესებებისთვის მიკუთვნებული სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ხანგრძლივობის ვადას შორის უმცირესით.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები მოიცავს მშენებარე აქტივებისთვის გაცემულ ავანსებს, რომლებიც შემდგომში ძირითადი საშუალებად კლასიფიცირდება. მსგავსი ავანსი აისახება გაუფასურების ანარიცხებით შემცირებული თვითღირებულებით და გრძელვადიანად კლასიფიცირდება, რადგან დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი.

აქტივების გამოყენების უფლებები. ჯგუფს იჯარით აქვს აღებული საოფისე შენობა და მიწა.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები თავდაპირველად ფასდება ახლანდელი ღირებულებით.

აქტივების გამოყენების უფლებები ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება,

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

- საიჯარო გადახდები, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- ყველა თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აქტივის იმ კონდიციამდე აღდგენის ხარჯი რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულებით.

აქტივების გამოყენების უფლებები ზოგადად ცვდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ხანგრძლივობის პერიოდს შორის უმცირესით წრფივი მეთოდის საშუალებით.

ყველა იჯარაში, სადაც ჯგუფია მოიჯარეა, იჯარის ხანგრძლივობის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და შესაბამისად ის იცვითება წრფივად იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის დარჩენილი ხანგრძლივობა შემდეგია: მიწა - 48 წელი; საოფისე შენობა - 5 წელი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა გაირკვეს, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშნები. თუკი ასეთი ნიშნები არსებობს, ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება.

გაუფასურებაზე ტესტირების მიზნით, ის აქტივები, რომელთა შემოწმება ცალკე შეუძლებელია, ჯგუფდება უწყვეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც ძირითადად არ არის დამოკიდებული სხვა აქტივებსა და ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე. ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ წარმოქმნის ფულად სახსრებს ცალკე და გამოიყენება ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ.

ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მის გამოყენების ღირებულებასა და გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას ხდება ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების დისკონტირება მათ ახლანდელ ღირებულებამდე, დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულებისა და რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას აქტივისა თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების აღიარებული ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების პროპორციულად.

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აკეთებს შეფასებას, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მოცემული აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, ისე როგორც აღწერილია ქვემოთ. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების, გაშლილი ხელის მანძილის პრინციპის საფუძველზე განხორციელებული ტრანზაქციების, ფინანსური მონაცემების მოდელები, გამოიყენება იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვის გარე ბაზრების ფასებზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით შეფასების ანალიზი ხორციელდება რეალური ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით, შემდეგნაირად: (i) პირველი დონე გულისხმობს იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასების (დაუკორექტირებელი) გამოყენებას, რომლის მოპოვება ჯგუფს შეუძლია შეფასების თარიღისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების მეთოდი ყველა მატერიალური ამოსავალი მონაცემისთვის, რომელიც დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასი) ან ირიბად (ფასიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონე წარმოადენს შეფასებას, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან არადაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის ითვლება, რომ რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის აქტივებისა და ვალდებულებების გადატანა მოხდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 19.

ტრანზაქციების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურსა და საკომისიოს, აგრეთვე გადაცემის გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციების დანახარჯები არ მოიცავს სავალ პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ, შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ფინანსური ინსტრუმენტისათვის არის საწყისი აღიარების ღირებულება, რომელიც შემცირებულია ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით და გაზრდილია დაგროვილი პროცენტით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის („ECL“) ანარიცხით შემცირებული ღირებულება. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციების დანახარჯების ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, ვადის დაფარვამდე არსებული ნებისმიერი პრემიისა ან დისკონტის გათვალისწინებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საკომისიოს ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცალკე არ აისახება და შედის დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდის საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი გადაფასების თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება შეიცავს კონტრაქტის მხარეების ყველა გადახდილ თუ მიღებულ საფასურს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (“FVTPL”) ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის და ინვესტიციებისთვის სავალ ინსტრუმენტებში შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), რომელიც პირდაპირ აისახება სააღრიცხვო ზარალად.

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც მოითხოვს ნორმატიული აქტებითა თუ საბაზრო შეთანხმებით (ყიდვა-გაყიდვა „ჩვეულებრივი წესით“) დროულ მიწოდებას, აისახება გარიგების თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც ჯგუფი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ფინანსური აქტივი. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აფასებს შემდეგი კატეგორიებით: რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (“FVTPL”), რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (“FVOCI”) და ამორტიზებული ღირებულება. სავალ ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელიც შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნესმოდელი. ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების გამომუშავების მიზნით – მიუხედავად იმისა, ჯგუფი მიზნად ისახავს: (i) მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“) ან (ii) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ასევე აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადები („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“). თუკი (i) და (ii)-დან არცერთი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილი და ხდება შეფასება FVTPL-ის მიხედვით.

ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) იმ ქმედებებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელსაც ჯგუფი ახორციელებს შეფასების თარიღისთვის არსებულ პორტფელთან მიმართებაში დადგენილი მიზნის მისაღწევად. ბიზნესმოდელის განსაზღვრისას გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შედგენილობას, წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ თუ როგორ ხდება შესაბამისი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღება, როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და რა კომპენსაციას იღებენ მენეჯერები.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადის მახასიათებლები. იმის მიუხედავად, ბიზნეს მოდელი მოიცავს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან, თუ როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ნაკადების მიღებას, ჯგუფი განსაზღვრავს წარმოადგენს თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას (“SPPI”).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

როდესაც ხელშეკრულების პირობები მოიცავს რისკის მქონე პოზიციებს ან ვოლეტარულია, რაც შეუთავსებელია ძირითად სასესხო ხელშეკრულებასთან, ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ხდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI-ის შეფასება ხდება აქტივის საწყისი აღიარებისას და შემდგომში არ ექვემდებარება გადაფასებას.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი მთლიანად ცვლის პორტფელის მართვის მოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში. ჯგუფს არ შეუცვლია მისი ბიზნესმოდელი მიმდინარე და შესაძარისი პერიოდების განმავლობაში და არ განუხორციელებია არცერთი რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი “ECL”-სთვის. ჯგუფი აფასებს პერსპექტიულ საფუძველზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) იმ სავალსა ინსტრუმენტებისთვის, რომელთა შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. ჯგუფი ახდენს ECL-ის შეფასებას და აღიარებს წმინდა ზარალს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების გაუფასურებიდან ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ECL-ის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და შეწონილი ალბათობებით განსაზღვრულ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასების გზით, (ii) ფულის დროით ღირებულებასა და (iii) წარსულში მომხდარ მოვლენებზე, მიმდინარე პირობებსა და მომავალ პროგნოზებზე სრულყოფილად გონივრულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსასაზღვრად ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდის პროვიზებს ბოლო 12 თვის განმავლობაში და მოკორესპონდენტო ისტორიულ საკრედიტო ზარალების გამოცდილებას ამ პერიოდში. ზარალის ისტორიული განაკვეთები კორექტირდება რათა ასახოს მიმდინარე და მოსალოდნელი ინფორმაცია.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა შეწყვეტას აღიარების წარმოადგენს.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია, ან ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გასვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს ან (ii) ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს და არც ასხვისებს და ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს.

კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შესაფასებელი.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი დაიფარება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ჯგუფსა და მის თავდაპირველ გამსესხებელს შორის არსებული სავალო ინსტრუმენტის პირობების არსებითად შეცვლა ან პირობებისა და მდგომარეობით მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების შეწყვეტა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულია თუ ახალი პირობების შესაბამისად მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებაა, რომელიც მოიცავს გადახდილ საკომისიოს და გამოკლებულ ნებისმიერ მიღებულ საკომისიოს და დისკონტირებულია თავდაპირველი დისკონტირების განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულებისგან.

თუ სავალო ინსტრუმენტის გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება როგორც შეწყვეტა, ნებისმიერი დარიცხული ხარჯი ან საკომისიო აღიარდება, როგორც შეწყვეტისას წარმოშობილი მოგება ან ზარალი. თუ გაცვლა ან მოდიფიკაცია არ აღირიცხება შეწყვეტად, ნებისმიერი დარიცხული ხარჯი ან საკომისიო დააკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო თანხის ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების მიღების იურიდიული საფუძველი და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგაქვითვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) უნდა არსებობდეს აღსრულების იურიდიული საფუძველი ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) ვალდებულების შეუსრულებლობისას და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაშთებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდე ან ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ჯგუფი მათ ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და (ii) არ წარმოადგენს FVTPL-ს. კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციები, როგორიცაა უზრუნველყოფის შესახებ კანონი გარკვეულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას SPPI ტესტზე, მანამ სანამ, ის არ იქნება გათვალისწინებული საკონტრაქტო პირობებში. ამ შემთხვევაში, ფუნქცია იმოქმედებს კანონმდებლობაში შემდგომი ცვლილების მიუხედავად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ, ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხების საწყისი აღიარება ხდება ტრანზაქციის დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, შემდგომ კი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია. იმ სესხების ზოგადი და სპეციფიკური ხარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობას ან წარმოებასთან, რომელთა აღიარება არ ხდება რეალური ღირებულებით და რომლებიც აუცილებლად საჭიროებს მნიშვნელოვან დროს დანიშნულებისამებრ გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივები), კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილი, თუკი კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია 2009 წლის 1 იანვარი ან შემდგომი პერიოდი.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება მაშინ, როდესაც (ა) ჯგუფი გასწევს ხარჯებს განსაკუთრებულ აქტივზე; (ბ) გასწევს ხარჯებს სესხებზე; (გ) განახორციელებს ქმედებებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის მოსამზადებლად.

სესხებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება მანამ, სანამ აქტივები არსებითად მზად არის გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის.

ჯგუფი ახდენს იმ სესხებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას, თუკი განსაკუთრებულ აქტივებზე კაპიტალური დანახარჯების განხორციელების გარეშე შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული ხარჯებისათვის თავის არიდება. კაპიტალიზებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება ჯგუფის დაფინანსების საშუალო ღირებულებით (განსაკუთრებული აქტივების ხარჯებისადმი გამოიყენება საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი), გარდა შემთხვევებისა, როდესაც სახსრები ნასესხები განკუთვნილია განსაკუთრებული აქტივის მისაღებად. ასეთ შემთხვევაში, კონკრეტულ სესხებზე გაწეული ფაქტიური დანახარჯები ექვემდებარება კაპიტალიზაციას, ამ სესხების დროებითი ინვესტირებით მიღებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლის გამოქვითვით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარის აღებით წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს მისაღები საიჯარო წახალისებით შემცირებული ფიქსირებული გადახდების დისკონტირებულ წმინდა დღევანდელ ღირებულებას.

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარის ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ასეთი განაკვეთის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია ჯგუფის იჯარებთან დაკავშირებით, გამოყენებულია ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელსაც ჯგუფი გადაიხდიდა ისეთი სესხისთვის, რომლის აღებაც აუცილებელი იქნებოდა გამოყენების უფლებით აღებული აქტივების მსგავსი აქტივის შესაძენად, მსგავს ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი პირობებით, უზრუნველყოფითა და პირობებით.

საიჯარო გადახდები გაყოფილია ძირ თანხად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აირიცხება მოგებას ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში, ისეთი ოდენობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების დარჩენილ ნაშთთან მიმართებით წარმოქმნის მუდმივ (უცვლელ) პერიოდულ საპროცენტო განაკვეთს.

მუდმივი (უცვლელი) პერიოდული სასესხო განაკვეთის განსაზღვრისას, ჯგუფი იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იურიდიული პირებისათვის გამოქვეყნებულ უახლეს საფინანსო განაკვეთებს.

გახანგრძლივების უფლება ჩართულია იჯარებში ჯგუფის მასშტაბით. ეს პირობები გამოიყენება გამოყენებული აქტივების მართვისას ჯგუფის ოპერაციებში საოპერაციო მოქნილობის მაქსიმიზაციისთვის. იჯარის გახანგრძლივების უფლებების უმრავლესობა გამოყენებადია მხოლოდ ჯგუფის მიერ და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ. გახანგრძლივების უფლებები იჯარის ხელშეკრულებაში არის მხოლოდ მაშინ, როდესაც საიმედოდ გარკვეულია რომ იჯარა გაგრძელდება. საიჯარო გადახდები, რომლებიც გადაიხდება სავარაუდოდ გაგრძელების უფლების გამოყენების შემდეგ ასევე გათვალისწინებულია ვალდებულების შეფასებაში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხდენითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს მათ გამოუმუშავებულ მოგებაზე (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი, მანამ სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი 15% გადასახდელია დასაბეგრ ღირებულებაზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები იზრდება წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის 5%-ით, თუ შესაძლებელია, და იყოფა 0.85-ზე) დივიდენდის გადახდის მომენტისთვის ფიზიკური თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის. 2017 წლის 1 იანვრიდან გადახდილი დივიდენდი რეზიდენტი იურიდიულ პირებზე არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

დივიდენდები მოგებიდან, რომელიც მიღებული იყო 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას დასაბეგრ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება როგორც დეკლარირებული და გადახდილი გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე დაპირისპირებული იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებასთან, რომელიც გამრავლებულია განაწილებულ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯად იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ფაქტობრივი გადახდის თარიღი ან ის პერიოდი, რომელზეც ხდება დივიდენდების გადახდა. შედეგად, ჯგუფმა შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბრისთვის და შესაბამისი ეფექტი აღრიცხა 2016 წლის მოგებაში ან ზარალში. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გარდა დივიდენდების განაწილებაზე გადასახადისა, გადასახადი ასევე გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება საგადასახადო შეღავათიანი პირობების იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე წინასწარი გადახდები და სხვა სპეციფიკური ტრანზაქციები ასეთ საწარმოებთან, აგრეთვე გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, მოთხოვნილ აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე, შეპირისპირებით შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებულ პირთათვის წინასწარი გადახდებზე ან ანაზღაურებაზე გაცემული სესხების ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე, აღირიცხება მოგების გადასახადის მუხლისაგან განსხვავებულ სხვა გადასახადების მუხლში.

საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული გაურკვევლობები. ხელმძღვანელობა ჯგუფის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებს აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, როდესაც ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შემთხვევაში. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად არის ძალაში ან იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელების მიერ საუკეთესო შეფასებით ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ოდენობით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადახდილ უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოებისათვის, განხორციელებისთანავე შემდეგი ოპერაციებიდან უფრო ადრე: (ა) მომხმარებლებისგან ავანსის მიღებისას ან (ბ) საქონელის ან მომსახურების მომხმარებლებზე მიწოდებისას. ჩასათვლედი დღგ-ს ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება გადასახდელ დღგ-სთან შეპირისპირებით, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ჩათვლა ნეტო-საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლედი დღგ-ს 5-დან 10 წლამდე გადავადება ხდება ისეთი კომპანიების შემთხვევაში, რომელთა ბრუნვის 20%-ს დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლება ეხება.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში („ფიფო“) მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგებაში ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ. ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ფინანსური შემოსავალი. ყველა სავალაო ინსტრუმენტისთვის საპროცენტო შემოსავლის ასახვა ხდება დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი გადავადებს, საპროცენტო შემოსავლის ნაწილის სახით, მთლიან საკომისიოს, რომელიც მიღებულია ხელშეკრულების მხარეთა შორის და რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოს, საქართველოს საპენსიო და სოციალური დაზღვევის ფონდში გადახდების, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებლის (როგორიცაა სამედიცინო დაზღვევა) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ჯგუფის თანამშრომლებმა გაუწიეს შესაბამისი მომსახურება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და დაშვებების მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, ხელმძღვანელების მოლოდინებს, გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია არსებული გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებებზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

აქტივების გაუფასურება და ანარიცხებისთვის აღრიცხვა: ყოველი საბალანსო თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა ნიშანი, რომ ჯგუფის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი განსაზღვრავს ანაზღაურებად ღირებულებას, საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ჯგუფი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. იმის განსაზღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია დაშვებები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძველად გამოყენებულია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების ვადები და პირობები წარმოდგენილია შენიშვნაში 7.

სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება. ძირითადი საშუალების მთავარი ერთეულები კლასიფიცირებულია, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა და ჯერ არ გაცვეთილა.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ცვეთაზე მისი გავლენა 1 ათასი ლარით გაზრდა ან 10 ათასი ლარით შემცირება (2018: 1 ათასი ლარით შემცირება ან 11 ათასი ლარით ზრდა).

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა. იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და პირობას, რომლებიც წარმოშობს გახანგრძლივების უფლების გამოყენების ეკონომიკურ სტიმულს. გახანგრძლივების უფლებები იჯარის ხელშეკრულებაში არის მხოლოდ მაშინ, როდესაც საიმედო და გონივრულია, რომ გახანგრძლივდება (ან არ იქნება შეწყვეტილი).

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას (გაგრძელება)

ფაქტორები, რომლებიც ზოგადად ყველაზე მნიშვნელოვანია შენობებისა და მიწის იჯარებისთვის შემდეგია:

- იჯარის შეწყვეტის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ჯარიმების არსებობისას (ან არ გაგრძელდეს), ჯგუფი დარწმუნებულია, რომ იჯარას გააგრძელებს (ან არ შეწყვეტს);
- თუ საიჯარო ქონების გაუმჯობესებებს მოსალოდნელია, რომ ექნება მნიშვნელოვანი დარჩენილი ღირებულება, ჯგუფი დარწმუნებულია, რომ იჯარას გააგრძელებს (ან არ შეწყვეტს).

სხვა შემთხვევაში, ჯგუფი განიხილავს სხვა ფაქტორებს, ისტორიული იჯარის ხანგრძლივობებისა და საიჯარო აქტივის ჩანაცვლებისთვის საჭირო ღირებულების ჩათვლით.

გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებები. გახანგრძლივების და შეწყვეტის უფლებები ჩართულია მიწის იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვისას საოპერაციო მოქნილობის მაქსიმიზაციისთვის.

იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და პირობას, რომლებიც წარმოშობს ეკონომიკურ სტიმულს, რომ გამოყენებულ იქნეს გახანგრძლივების უფლება. იჯარის ვადის განსაზღვრისას გახანგრძლივების უფლებები გათვალისწინებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც საიმედო და გონივრულია, რომ გახანგრძლივდება.

იჯარის ვადა გადაიხდება როდესაც მოხდება უფლების ფაქტიური გამოყენება ან ჯგუფი ვალდებული გახდება, რომ გამოიყენოს ეს უფლება. საიმედოდ გარკვეული შეფასება გადაიხდება მხოლოდ მნიშვნელოვანი მოვლენის ან გარემოებებში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იმოქმედებს შეფასებაზე და რომელიც ჯგუფის კონტროლს ექვემდებარება. მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში, იჯარის ვადის გადასინჯვის ფინანსური ეფექტი, რომელიც ასახავს გახანგრძლივების უფლებების გამოყენების ეფექტს, შეადგენდა საიჯარო ვალდებულებებისა და აქტივების გამოყენების უფლებების 10 ათასი ლარის ოდენობით ზრდას.

რეალური ღირებულების შეფასება. ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს რეალური ღირებულებების შეფასებას როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. რეალური ღირებულებები განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისთვის. რეალური ღირებულებები იერარქიაში კლასიფიცირებულია სხვადასხვა დონეებად იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც გამოყენებულია შეფასებისას:

პირველი დონე: იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზარების კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასები.

მეორე დონე: მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (როგორც ფასი) ან არაპირდაპირ (ფასიდან გამომდინარე).

მესამე დონე: მონაცემები აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, რომელიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე (დაუკვირვებადი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები კლასიფიცირებულია სხვადასხვა დონეებად, მაშინ რეალური ღირებულების შეფასება მთლიანად კლასიფიცირდება რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, როგორც ყველაზე დაბალი დონის მონაცემი.

დამატებითი ინფორმაცია რეალური ღირებულებების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 19 - რეალური ღირებულებები და რისკის მართვა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ჯგუფი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მოითხოვს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმისათვის, რომ განისაზღვროს ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძველად გამოყენებულია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები წარმოდგენილია შენიშვნაში 7.

საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისას გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. დისკონტირების განაკვეთის გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს თავის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის საიმედო შეფასება შეუძლებელია.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის დისკონტირების განაკვეთის 10%-იანი ზრდა ან კლება გამოიწვევდა საიჯარო ვალდებულებების 48 ათასი ლარით მატებას ან კლებას (2019 წლის 1 იანვარს: 42 ათასი ლარი).

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ დაიწყოს სტანდარტის გამოყენება მასზე სავალდებულო გადასვლის თარიღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი მაჩვენებლების ხელახლა წარდგენის გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივებული მიდგომით. ქონების იჯარისთვის აქტივების გამოყენების უფლებები ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის ფასდება იმგვარად, რომ ეს ახალი წესები 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენებოდა. ყველა სხვა აქტივის გამოყენების უფლებები, შეფასებულია საიჯარო ვალდებულების თანხით იჯარით გადასვლის მომენტში.

ფასს 16-ის თავდაპირველი მიღებისას, ჯგუფმა გამოიყენა სტანდარტის მიერ დაშვებული შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომები:

- იმის განსასაზღვრავად არის თუ არა იჯარები წამგებიანი, როგორც გაუფასურების მიმოხილვის ჩატარების ალტერნატივა, გამოყენებულ იქნა წინარე შეფასებები - 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წამგებიანი კონტრაქტები არ ყოფილა,
- იჯარის ვადის განსასაზღვრად, როდესაც კონტრაქტი მოიცავს გაგრძელების ან შეწყვეტის უფლებას, გამოყენებულია უკვე დამდგარი შედეგები.

ჯგუფმა აირჩია, რომ არ გადახედოს იმის შეფასებას, არის თუ არა, ან მოიცავს თუ არა კონტრაქტი იჯარას თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის. ნაცვლად ამისა, ჯგუფი გადასვლის თარიღამდე გაფორმებული კონტრაქტებისთვის დაეყრდნო მის გაკეთებულ შეფასებებს ბასს 17, იჯარები და ფასიკ 4-ის მიხედვით, იმის განსასაზღვრავად შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას.

საიჯარო ვალდებულებების ზღვრულ სასესხო განაკვეთად 2019 წლის 1 იანვრისთვის ჯგუფს აღებული ჰქონდა საშუალო შეწონილი 10.9% ლარში დენომინირებული ვალდებულებებისთვის და 7.5% ევროში დენომინირებული ვალდებულებებისთვის.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

<i>ათას ქართულ ლარში</i>		31 დეკემბერი 2018 / 1 იანვარი 2019
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების ჯამი არაგაუქმებადი* საოპერაციო იჯარისთვის 2018 წლის 31 დეკემბრისთვის		2,560
- ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირების ეფექტი		(2,032)
სულ აღიარებული საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრისთვის		528

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა არაგაუქმებადი გრძელვადიანი პირობითი საიჯარო ვალდებულებები 528 ათასი ლარის ოდენობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება გავლენას ახდენს 2019 წლის 1 იანვრისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემდეგ მუხლებზე:

<i>ათას ქართულ ლარში</i>	1 იანვარი 2019
აქტივების გამოყენების უფლებების ღირებულების ზრდა	528
საიჯარო ვალდებულებების ზრდა	528

რადგანაც ფასს 16 ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ში მოცემულ მეიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნებს, ჯგუფს არ უღიარებია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე ჯგუფის, როგორც მეიჯარედ საქმიანობის მხრივ.

ქვემოთ მოცემული გადასინჯული სტანდარტები კომპანიებისათვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასიკ 23 – „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ბასს 28-ში - „გრძელვადიანი ინვესტიცია მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წლების ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შეკვეცა ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში

გამოქვეყნებულია გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენებაც სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება ჯგუფს არ დაუწია.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა – ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ბასსს-ს მიერ განსაზღვრული თარიღიდან ან შემდგომ). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომლებიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი კომპანია ფლობდეს. ჯგუფი არ მოელის რომ ამ ცვლილებებს რაიმე გავლენა ექნება მის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს და შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით, რომლის გამოც, ინვესტორებისათვის რთული იყო მსგავსი საქმიანობების სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება, ჩანაცვლდა ფასს 17-ით. ფასს 17 არის ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის ერთი პრინციპით აღრიცხვაზე დაფუძნებული სტანდარტი. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) მიმდინარე ღირებულების სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით, კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციის ანალიზის გზით; დამატებით (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებით (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც კომპანიის ხელშეკრულებებში წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). დამზღვევემა მოგება უნდა აღიაროს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფებისთვის პერიოდულად, როდესაც მოხდება დაზღვევით უზრუნველყოფა და ისინი თავისუფალი იქნებიან რისკისგან. თუ კონტრაქტთა ჯგუფი წამგებიანი ხდება, კომპანია მაშინვე აღიარებს ზარალს. ჯგუფი არ მოელის რომ ამ ახალ სტანდარტზე გადასვლას რაიმე გავლენა ექნება მის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტების შესახებ; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისის შემდგომი შეძენებისთვის რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება გამოყენებული რესურსებისა და არსებითი პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი კომპანიის შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, კომპანიის სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა.

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში (გაგრძელება)

„პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, საინვესტიციო შემოსავლის წარმოქმნასა და სხვა შემოსავლის გამომუშავებაზე და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. კომპანიას შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები კომპანიას არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ჯგუფი არ მოელის რომ ამ ცვლილებებს რაიმე გავლენა ექნება მის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. ასევე, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული ანგარიშგების წარმდგენი კომპანიის შესახებ. ჯგუფი არ მოელის რომ ამ ცვლილებებს რაიმე გავლენა ექნება მის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საპროცენტო განაკვეთის საფუძვლის რეფორმა - ფასს 9-ში, ბასს 39-ში და ფასს 7-ში შეტანილი ცვლილებები (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები“). ეს შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების სპეციფიური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმის შედეგებს უშუალო გავლენა ჰქონდა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს 9-ისა და ბასს 39-ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს “მაღალი ალბათობით მოსალოდნელი”. მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, კომპანიისგან შესწორებებით გამოწვეული გათავისუფლება მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადებია დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ბასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროცენტო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანაბრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება. ამ შესწორებების მიხედვით, კომპანიამ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელზეც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯირება გასცდეს 80-125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ბასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის. ბასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამოწვევის რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯირება არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაკმაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ბასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე.

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში (გაგრძელება)

მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც კომპანია, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შეღავათი გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამოიწველი იყო ამ ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე, ბასს 39-ის და ფასს 9-ის მიხედვით. აღნიშნული შესწორებები განაპირობებს იმას, თუ როდის დასრულდება შეღავათები, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ ადგილი აღარ აქვს საპროცენტო განაკვეთის საფუძვლის რეფორმას. შესწორებები კომპანიისაგან მოითხოვს ინვესტორებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას, ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოიყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვება და განსჯა, იმის რაოდენობრივი განმარტებები, თუ როგორი გავლენა აქვთ კომპანიაზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართავს ის გადასვლის პროცესს. ჯგუფი არ მოელის რომ ამ ცვლილებებს რაიმე გავლენა ექნება მის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაცია – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს მცირე ცვლილებები აზუსტებს, თუ როგორ კლასიფიცირდება ვალდებულებები მიმდინარედ ან გრძელვადიანად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ კომპანიას, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სტანდარტი აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ კომპანია შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ კომპანია აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დარღვეულია საანგარიშგებო თარიღისთვის ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან მიღებულია მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის პირობა ირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. ასევე, ცვლილებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის გადაფარვასაც კომპანია მის კაპიტალში შესაძლო გარდაქმნის გზით აპირებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან კომპანიის საკუთარ წილობრივ ინტერესებს. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კონვერტირებული იყოს საკუთარ კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც კონვერტირების არჩევის უფლება კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მშობელი იურიდიული პირია კომანდიტური საზოგადოება საქართველოს თანაინვესტირების ფონდი.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო მოკლევადიანი სესხი 400 ათასი აშშ დოლარის ოდენობით საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიისგან (საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი), რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფარულია.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან არ ყოფილა.

ხელმძღვანელობის ანაზღაურება. ხელმძღვანელობაში შედიან ჯგუფის დირექტორები, რომლებიც მართავენ ჯგუფის ოპერაციების სხვადასხვა მიმართულებებს. ხელმძღვანელობამ მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც შედის ხელფასებსა და სარგოში.

ათას ქართულ ლარში	2019	2018
ხელფასები და ბონუსები	149	197

8 ძირითადი საშუალებები

მოძრაობები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში:

ათას ქართულ ლარში	მიწა	მოწყობილობები, აღჭურვილობა და სხვა	სამშენებლო აღჭურვილობა	მშენებარე აქტივები*	სულ	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის
თვითღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	377	937	31	144,835	146,180	21,799
დაგროვილი ცვეთა	-	(755)	-	(99,502)	(100,257)	-
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	377	182	31	45,333	45,923	21,799
დამატებები	677	164	-	58,134	58,975	6,387
გასვლები	-	(18)	-	(309)	(327)	-
ტრანსფერები მშენებარე აქტივებიდან/ სხვა გადახდილი ავანსების						
აღიარების შეწყვეტა	32	72	15	6,837	6,956	(8,508)
ცვეთის ხარჯი	-	(76)	-	-	(76)	-
გაუფასურების ხარჯი	-	-	-	(16,758)	(16,758)	-
მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	-	-
ცვეთა გასვლაზე	-	7	-	-	7	-
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	1,086	331	46	93,237	94,700	19,678
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	1,086	1,155	46	209,497	211,784	19,678
დაგროვილი ცვეთა	-	(824)	-	(116,260)	(117,084)	-
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	1,086	331	46	93,237	94,700	19,678
დამატებები	2	-	-	49,399	49,401	8,172
გასვლები	-	(21)	-	-	(21)	-
ტრანსფერები მშენებარე აქტივებიდან/ სხვა გადახდილი ავანსების						
აღიარების შეწყვეტა	-	17	18	3,496	3,531	(12,616)
ცვეთის ხარჯი	-	(67)	(23)	-	(90)	-
ცვეთა გასვლაზე	-	10	-	-	10	-
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,088	270	41	146,132	147,531	15,234
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,088	1,151	64	262,392	264,695	15,234
დაგროვილი ცვეთა	-	(881)	(23)	(116,260)	(117,164)	-
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,088	270	41	146,132	147,531	15,234

(*) მშენებარე აქტივები - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული აღჭურვილობა

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ შენიშნა გაუფასურების მაჩვენებლები (არახელსაყრელი გეოლოგიური პირობები გვირაბში, რომელმაც გამოიწვია გადავადებები და გადახარჯვები, დიზაინის ცვლილებები ზოგიერთ დიდ სამოქალაქო სტრუქტურაში, რამაც გამოიწვია დამატებითი ხარჯები) და გაუფასურების ტესტის ჩასატარებლად მოიწვია დამოუკიდებელი შეფასების ექსპერტი შპს KPMG Georgia. ექსპერტებმა გამოყენების ღირებულების გაანგარიშებაზე დაფუძნებით განსაზღვრეს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება. ეს გაანგარიშებები იყენებს ფულადი სახსრების განსაზღვრას ფინანსურ ბიუჯეტზე დაფუძნებით, რომელიც დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და ფარავს 23 წლიან პერიოდს (მშენებლობის პერიოდი + PPA შეთანხმების პერიოდი + პოტენციური გადავადებები სამშენებლო სამუშაოებში). ფულადი სახსრები 23 წლიანი პერიოდის მიღმა განისაზღვრა შეფასებული ტერმინალური ზრდის მაჩვენებლით, 1.9%-ით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულება გაანგარიშდა დაბეგვრის შემდგომი საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულების გამოყენებით, 13.76%-ით. კონკრეტული რისკის პრემიუმი, 2% იქნა გამოყენებული საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულებისათვის, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო გაურკვევლობები და რისკები, გამოწვეული სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის შედეგად, რომელიც თავის მხრივ გამოწვეული იყო გვირაბის ნგრევით, განსაკუთრებით ისეთი რისკების გათვალისწინებით, როგორებიცაა გვირაბის სამუშაოების დასრულებისთვის კაპიტალურ დანახარჯებში პოტენციური ზრდა, რისკები დაკავშირებული ოპერაციების დაწყების თარიღის გადავადებასთან და დაზღვევის ანაზღაურებასთან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობას არ განუსაზღვრავს გაუფასურების ან კომპენსირების მინიშვნები.

მშენებარე აქტივები და ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის. მშენებარე აქტივები მოიცავს კაპიტალურ დანახარჯებს, რომლებიც განხორციელდა ჰესის განვითარებისთვის (იხილეთ შენიშვნა 3) და ასევე მოიცავს შეძენილი აღჭურვილობის თვითღირებულებას ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურისათვის. დამატებებს დაუმთავრებელი მშენებლობისთვის, რომელიც მოიცავს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს 10,569 ლარის ოდენობით (2018: 8,482 ათასი ლარი) (შენიშვნა 16). კაპიტალიზაციის განაკვეთი იყო 9.95% (2018:10.47%).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის ძირითადად წარმოადგენს წინასწარ გადახდებს შპს „ფერის“ (2019: 2,971 ათასი ლარი; 2018: 4,459 ათასი ლარი), შპს „საქენერგორემონტის“ (2019: 6,174 ათასი ლარი; 2018: 3,349 ათასი ლარი), და Voith Hydro GmbH & Co KG-სთვის (2019: 2,648 ათასი ლარი; 2018: 2,678 ათასი ლარი) გვირაბის, სამოქალაქო და ელექტრო-მექანიკური სამუშაოების შესასრულებლად.

გადახდილი ავანსები მომსახურებისთვის. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები მოიცავს 1,014 ლარის ოდენობის საკომისიოს გვირაბგამყვანი მანქანის („TBM“) მომსახურებისთვის გვირაბის სამუშაოების გასაწევად (2018: 8,823 ათასი ლარი), რომელიც განისაზღვრა როგორც განსხვავება TBM-ის წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის 29 დეკემბერს კონტრაგენტთან - შპს ფერისთან. შეთანხმებული გასაყიდი ფასი განისაზღვრა, როგორც TBM-ის წმინდა საბალანსო ღირებულება, შემცირებული TBM-ის ფლობის უფლების კონტრაგენტზე გადაცემასთან დაკავშირებული რისკების შეფასებული ღირებულებით და აგრეთვე დამატებითი სამუშაოების შეფასებული ღირებულებით. გადახდილი ავანსი ამორტიზდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში გვირაბგამყვანი სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისად. გვირაბგამყვანი სამუშაოები არ განახლებულა 2018 წლის განმავლობაში, შესაბამისად გადახდილი ავანსი მომსახურებისთვის არ ამორტიზებულა შესაბამის წელს.

გვირაბგამყვანი სამუშაოები განახლდა 2019 წლის 23 ივნისიდან. მომსახურებისთვის გადახდილი ავანსების ამორტიზაცია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო 7,809 ათასი ლარი. (2018: 0 ლარი)

9 აქტივების გამოყენების უფლებები და საიჯარო ვალდებულებები

უზრუნველყოფა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები, საბალანსო ღირებულებით 147,531 ათასი ლარი (2018: 94,700 ათასი ლარი) შპს მტკვარი ჰოლდინგის 100%-იან წილთან ერთად, ყველა არსებული და მომავალი არამატერიალური აქტივი დატვირთულია სს თიბისი ბანკთან გაფორმებული საკრედიტო პროდუქციის შესახებ ზოგადი შეთანხმებით, რომელიც თარიღდება 2016 წლის 29 დეკემბრით.

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული საოფისე შენობა და მიწა. იჯარის ხელშეკრულებები იდება ფიქსირებული პერიოდებისთვის, თუმცა შესაძლოა ჰქონდეს გახანგრძლივების უფლებები, როგორც აღწერილია ქვემოთ.

2018 წლის 31 დეკემბრამდე იჯარები ძირითადი საშუალებებისთვის კლასიფიცირებული იყო როგორც საოპერაციო იჯარები. 2019 წლის 1 იანვრიდან, იჯარები აღიარებულია როგორც აქტივების გამოყენების უფლებები და მოკორესპოდენტო ვალდებულება იმ თარიღიდან, როდესაც იჯარით აღებული აქტივი მზადაა ჯგუფის მიერ გამოსაყენებლად.

ათას ქართულ ლარში	მიწა	შენობები	სულ
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	528	-	528
დამატებები	-	528	528
ცვეთის ხარჯი	(18)	(85)	(103)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	510	443	953

ჯგუფმა აღიარა შემდეგი საიჯარო ვალდებულებები:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	993	528
სულ საიჯარო ვალდებულებები	993	528

საპროცენტო ხარჯი, რომელიც შედის 2019 წლის ფინანსურ ხარჯებში შეადგენდა 85 ათას ლარს.

გახანგრძლივების უფლება შედის ჯგუფის მიწის იჯარაში, რათა მოხდეს საოპერაციო მოქნილობის მაქსიმიზაცია ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვასთან დაკავშირებით.

10 ვადიანი დეპოზიტები

ათას ქართულ ლარში	2019	2018
ვადიანი დეპოზიტები	3,457	2,784

ვადიანი დეპოზიტები წარმოადგენს დეპოზიტს, რომელიც შეზღუდულია სს „საქართველოს ბანკის“ (საკრედიტო რეიტინგი - BB -) მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ გაცემული გარანტიით, რათა დაფაროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესრულების ვალდებულება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. (იხილეთ შენიშვნა 1)

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთისა და საკრედიტო რისკების მიმართ მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის განმარტებულია შენიშვნაში 19.

11 სხვა საგადასახადო აქტივები

ათას ქართულ ლარში	2019	2018
ანაზღაურებადი დამატებული ღირებულების გადასახადი	10,065	9,783
ქონების გადასახადის ვალდებულება	(4,415)	(3,152)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(1,015)	(818)
სულ სხვა საგადასახადო აქტივები	4,635	5,813

ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ ანაზღაუროს საგადასახადო აქტივი საქართველოს შემოსავლების სამსახურის საშუალებით, კერძოდ, დაგეგმილია 5,000 ათასი ლარის ანაზღაურება 2020 წელს, დარჩენილი დამატებული ღირებულების საგადასახადო აქტივი კი შენარჩუნებულია, რათა მოხდეს სხვა საგადასახადო ვალდებულებებთან ურთიერთჩათვლა.

12 გაცემული სესხები

2019 წლის 31 დეკემბერს გაცემული სესხების ნაშთი მოიცავს ჯგუფის მთავარ კონტრაქტორ სს „ენერგონზე“ (ყოფილი სს „საქენერგორემონტშენი“) გაცემულ სესხს. შესაბამისი სესხი არის ლარში დენომინირებული 13%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი გაცემული სესხებისთვის განისაზღვრა, როგორც უმნიშვნელო, რადგან სესხი გაცემულია ჯგუფის მთავარ კონტრაქტორზე, რომელთანაც ჯგუფს აქვს მიმდინარე კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. (შენიშვნა 21)

13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათას ქართულ ლარში	2019	2018
მოთხოვნა TBM-ის გასვლიდან	3,308	3,088
სავაჭრო მოთხოვნები	1,631	1,409
სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	340
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბერს	4,939	4,837

გვირაზგამყვანი მანქანის (TBM) გასვლიდან აღიარებული მოთხოვნა გამომდინარეობს გვირაზგამყვანი მანქანის, სათადარიგო მთავარი საკისრის და დაკავშირებული აღჭურვილობის ყიდვა-გაყიდვის შეთანხმებიდან, ჯგუფსა და შპს ფერის შორის.

სულ შემენის ფასია 1,703 ათასი დოლარი, საიდანაც 239 ათასი დოლარი ანგარიშსწორებულ იქნა ხელშეკრულების გაფორმებისას. ჯგუფის ხელმძღვანელობა განიზრახავს, რომ გამოქვითოს/ურთიერთჩათვალოს დარჩენილი საკონტრაქტო ფასი 1,464 ათასი დოლარის ოდენობით დაკავებული თანხიდან იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც მოითხოვება გვირაზის გაყვანის ხელშეკრულებაში.

რადგან TBM დაკავებულია სესხის უზრუნველყოფით სს თიბისი ბანკთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით, ჯგუფი არ არის უფლებამოსილი, გამოქვითოს/ურთიერთჩათვალოს დარჩენილი საკონტრაქტო ფასი მანამ, სანამ უზრუნველყოფა არ გაუქმდება.

მოცემული მოთხოვნა სრულად არის უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიით, რომელიც მომცემულია სს თიბისი ბანკის, კომერციული ბანკის მიერ საკრედიტო რეიტინგით BB-.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განისაზღვრა, როგორც უმნიშვნელო, რადგან მოთხოვნები გამომდინარეობს ჯგუფის მთავარ კონტრაქტორთან არსებული ოპერაციებით, რომელთანაც ჯგუფს აქვს მიმდინარე კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. (შენიშვნა 21).

14 ფული და ფულის ეკვივალენტები

ათას ქართულ ლარში	2019	2018
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	18,225	3,440
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს	18,225	3,440

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, რომელიც დაფუძნებულია Fitch Rating-ზე, შეჯამებულია ქვემოთ:

ათას ქართულ ლარში	2019	2018
არავადაგადაცილებული და არაგაუფასურებული		
BB- შეფასება	18,171	3,343
B შეფასება	54	97
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს	18,225	3,440

ჯგუფის საკრედიტო რისკის მქონე პოზიციების მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის განმარტებულია შენიშვნაში 19.

15 საკუთარი კაპიტალი და კაპიტალის მართვა

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ჯგუფის სადამფუძნებლო დოკუმენტში ასახულ კაპიტალის ნომინალურ ოდენობას.

ათას ქართულ ლარში	2019	2018
ნაშთი 1 იანვარს	177,346	171,917
საწესდებო კაპიტალის ზრდა	33,982	5,429
ნაშთი 31 დეკემბერს	211,328	177,346

16 სესხები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა დასაფარი ნაშთი 128,341 ათასი ლარის ოდენობით სს თიბისი ბანკისგან მიღებულ ვადიან სესხზე, რომელიც აღებულია რამდენიმე ტრანშად (2018: 92,877 ათასი ლარი). სესხი დენომინირებულია ამერიკულ დოლარში, დაფარვის ვადაა 2031 წლის 29 დეკემბერი და აქვს საშუალო პერიოდი, როგორც ძირ თანხაზე, ისე პროცენტის გადახდაზე 2022 წლის მარტამდე. სესხი ითვალისწინებს საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთს 10.87%-ს წლიურად 31 დეკემბრისთვის (2018: 12.18% წლიურად).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი გაანგარიშებულია ფიქსირებული განაკვეთზე 6-თვიანი აშშ დოლარის LIBOR-ის დამატებული. შეთანხმების თანახმად, გვირაბის მშენებლობის დასრულებამდე წლიური ფიქსირებული განაკვეთი არის 9%, ელექტროსადგურის ინსპექტირებამდე - ყოველწლიური 8.5% და ელექტროსადგურის წარმატებული საქმიანობიდან 6 თვის გასვლის შემდეგ - ყოველწლიური 7.5% (2018: ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი დამატებული 3-თვიანი აშშ დოლარის LIBOR).

16 სესხები (გაგრძელება)

გვირავის მშენებლობის დასრულებამდე წლიური ფიქსირებული განაკვეთი - წლიური 10%, ელექტროსადგურის ინსპექტირებამდე - ყოველწლიური 9% და ელექტროსადგურის წარმატებული საქმიანობიდან 6 თვის გასვლის შემდეგ - ყოველწლიური 8%).

ჯგუფის სესხების საპროცენტო რისკის მქონე პოზიციების ცვლილებები და საკონტრაქტო ფასწარმოქმნის თარიღები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განმარტებულია შენიშვნაში 19.

ძირითადი საშუალებები, მარაგები, არამატერიალური აქტივები, ისევე როგორც შვილობილ კომპანიაში შპს „მტკვარი ჰოლდინგის“ 100%-იანი წილი, ჩადებულია სესხის უზრუნველყოფაში.

17 საფინანსო საქმიანობებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეჯერება

ცხრილში წარმოდგენილია საფინანსო საქმიანობებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ანალიზი და მოძრაობები ჯგუფის საფინანსო საქმიანობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში ყოველი წარმოდგენილი წლისთვის. ეს ვალდებულებები ასახულია საფინანსო ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში.

ათას ქართულ ლარში	ვალდებულებები საფინანსო საქმიანობებიდან		
	სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობებიდან 2018 წლის 1 იანვარს	57,732	-	57,732
დამატებები წლის განმავლობაში	23,181	-	23,181
პროცენტის დარიცხვა	9,184	-	9,184
პროცენტის დაფარვა	(786)	-	(786)
უცხოური ვალუტის კორექტირებები	3,566	-	3,566
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობებიდან 2018 წლის 31 დეკემბერს	92,877	-	92,877
ახალი სტანდარტების მიღება	-	528	528
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობებიდან 2019 წლის 1 იანვარს	92,877	528	93,405
დამატებები წლის განმავლობაში	28,906	-	28,906
გადახდები წლის განმავლობაში	(10,116)	-	(10,116)
ფულადი ნაკადები, გარდა გადახდილი პროცენტებისა	-	(91)	(91)
პროცენტის დარიცხვა	12,887	83	12,970
პროცენტის დაფარვა	(1,086)	(83)	(1,169)
შემენა - იჯარები	-	528	528
უცხოური ვალუტის კორექტირებები	6,886	28	6,914
მოგება ვალის დაფარვისას	(2,013)	-	(2,013)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობებიდან 2019 წლის 31 დეკემბერს	128,341	993	129,334

სასესხო ნაშთებზე პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი 10,569 ათასი ლარის ოდენობით (2018: 8,482 ათასი) დაკაპიტალიზდა მშენებარე აქტივებში (შენიშვნა 8).

17 საფინანსო საქმიანობებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეჯერება (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფმა მიიღო დამატებითი მოკლევადიანი სესხები სს თიბისი ბანკისგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიისგან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა დაფარა ყველა მოკლევადიანი სესხი.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფმა და მისმა თავდაპირველმა გამსესხებელმა, სს თიბისი ბანკმა, მნიშვნელოვნად შეცვალეს არსებული სესხის ვადები და პირობები. ჯგუფმა შეწყვიტა არსებული ვადიანი სესხის აღიარება და აღრიცხა სესხი განახლებული პირობების ამორტიზებული ღირებულებით, რამაც განაპირობა სესხის დაფარვით მიღებული მოგება.

18 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათას ქართულ ლარში	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	1,306	8,204
ვალდებულებები შემენილი ძირითადი საშუალებებისთვის	17,552	6,632
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	18,858	14,836
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	10	37
სულ სხვა ვალდებულებები	10	37
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბერს	18,868	14,873

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის ყველა ფინანსური ვალდებულება და უმეტესად მოიცავს ვალდებულებებს Voith Hydro GmbH & Co KG-სთვის შესრულებული სამუშაოებისთვის და მიწოდებული საქონლისთვის არსებული ანგარიშგაქტურებისთვის 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად (8,788 ათასი ლარი, 7,845 ათასი ლარი) და დასაკავებელი თანხების ვალდებულებებს ჯგუფის მიერ სამუშაოების კონტროლისთვის თითოეული გაფორმებული ხელშეკრულებისთვის კონტრაქტორებთან. (შპს „ფერი“ – 2019: 2,967 ათასი ლარი 2018: 2,560 ათასი ლარი; შპს „ფერი“ - 2019: 5,309 ათასი ლარი, 2018: 3,845 ათასი ლარი; IGHolding Rus Branch JSC & Branch of Petrosgem LTD - 2019: 496 ათასი ლარი, 2018: 226 ათასი ლარი).

19 რეალური ღირებულებები და რისკის მართვა**(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და რეალური ღირებულებები**

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გულისხმობს იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასების (დაუკორექტირებელი) გამოყენებას, რომლის მოპოვება ჯგუფს შეუძლია შეფასების თარიღისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების მეთოდი ყველა მატერიალური ამოსავალი მონაცემისთვის, რომელიც დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასი) ან ირიბად (ფასიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონე წარმოადენს შეფასებას, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან არადაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს დაშვებებს. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება.

19 რეალური ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

შეფასების მონაცემების მნიშვნელობა შეფასებულია მთლიანად რეალური ღირებულების შეფასების მნიშვნელობასთან მიმართებაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა გამოვლინდეს. რეალური ღირებულების იერარქიით გაანალიზებული რეალური ღირებულება და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	2019				2018			
	დონე				დონე			
	1	2	3	სულ	1	2	3	სულ
აქტივები								
- ფული და ფულის ეკვივალენტები	-	18,225	-	18,225	-	3,440	-	3,440
- ვადიანი დეპოზიტი	-	-	3,457	3,457	-	-	2,784	2,784
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	4,939	4,939	-	-	4,837	4,837
სულ აქტივები	-	18,225	8,396	26,621	-	3,440	7,621	11,061
ვალდებულებები								
- სესხები	-	-	128,341	128,341	-	-	92,877	92,877
- ვალდებულებები	-	-	18,868	18,868	-	-	14,873	14,873
სულ ვალდებულებები	-	-	147,209	147,209	-	-	107,750	107,750

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ჩვეულებრივ მათი საბალანსო ღირებულებას. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ მოსალოდნელ სამომავლოდ მისაღებ ფულად ნაკადებს, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები, რომლებისთვისაც საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები. სავაჭრო ვალდებულებების და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან, მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო.

19 რეალური ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)**(ბ) ფინანსური რისკის მართვა**

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს.

რისკის მართვის საფუძვლები. დირექტორთა საბჭო ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის საფუძვლების ჩამოყალიბებასა და კონტროლზე და პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკების განვითარებასა და მეთვალყურეობაზე და რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს მეწილეს მისი საქმიანობის შესახებ.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკები ჩამოყალიბებულია, რათა განისაზღვროს და გაანალიზდეს რისკები, რომლებსაც ჯგუფი აწყდება, დაწესდეს შესაბამისი რისკის ლიმიტები და კონტროლები, და რისკები იყოს მეთვალყურეობის ქვეშ, ლიმიტები კი გათვალისწინებული. რისკის მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რათა ასახოს ცვლილებები საბაზრო პირობებსა და ჯგუფის საქმიანობაში. ჯგუფი მისი მენეჯმენტისა და ტრეინინგის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით მიზნად ისახავს, განავითაროს დისციპლინირებული და სასარგებლო კონტროლების გარემო, რომელშიც ყველა დაქირავებულს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკის, რაც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი მეორე მხარისთვის, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის პოზიციაწარმოიშვება ჯგუფის მიერ მომსახურების საკრედიტო პირობებით გაყიდვის შედეგად და სხვა ტრანზაქციებით კონტრაგენტებთან, რომლებიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შემდეგია:

<i>ათას ქართულ ლარში</i>	2019	2018
ვადიანი დეპოზიტები	3,457	2,784
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,939	4,837
ფული და ფულის ეკვივალენტები	18,225	3,440
სულ საბალანსო რისკის პოზიცია პერიოდის ბოლოს	26,621	11,061
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია პერიოდის ბოლოს	26,621	11,061
სესხები	(128,341)	(92,877)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(18,868)	(14,888)
საიჯარო ვალდებულებები	(993)	-
სულ საბალანსო რისკის პოზიცია პერიოდის ბოლოს	(148,202)	(107,765)

აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო გაქვითვის გავლენა, რათა შემცირდეს პოტენციური საკრედიტო რისკი არ არის მნიშვნელოვანი.

19 რეალური ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი, შემცირებული უზრუნველყოფითა და სხვა საკრედიტო მხარდაჭერით, განმარტებულია შენიშვნებში 8, 19.

ლიმიტები. ჯგუფი ახდენს თავისი საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას და ადგენს რისკის მიღებადი ზომის ლიმიტებს კონტრაგენტებისა თუ კონტრაგენტთა ჯგუფებთან მიმართებაში. საკრედიტო რისკის დონის ლიმიტები რეგულარულად მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. ხდება ასეთი რისკების დაკვირვება განახლებად საფუძველზე, და ისინი ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება საკრედიტო ლიმიტის ანალიზი და შეფასება. საკრედიტო რისკის პოზიციის მონიტორინგისთვის რეგულარულად მზადდება ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ფოკუსირებულია კლიენტის გადახდების განრიგის შესრულებაზე. გაუარესებული საკრედიტო უნარიანობის მქონე კლიენტებთან ნებისმიერი ურთიერთობის თაობაზე ეცნობება ხელმძღვანელობას, რომელიც ახდენს ამ საკითხის განხილვას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აანალიზებს კონტრაგენტების საქმიანობის შედეგებს და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

ECL-ის მოდელში ჩართული საპროგნოზო ინფორმაცია. ECL-ის შეფასება მოიცავს საპროგნოზო დასაბუთებად ინფორმაციას. ჯგუფმა განსაზღვრა ზოგიერთი საკვანძო ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც კორელირებს საკრედიტო რისკის ცვლილებებსა და ECL-თან. ჯგუფის მიერ კეთდება ეკონომიკური ცვლადების პროგნოზები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“), რაც იძლევა მომდევნო ხუთი წლის მანძილზე მოსალოდნელი მაკროეკონომიკური განვითარების საუკეთესო შეფასებას.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკის კონცენტრაციასთან დაკავშირებული რისკის პოზიციები. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს ჰქონდა მოთხოვნა სამშენებლო აღჭურვილობის შპს ფერისთან გაყიდვისთვის 3,955 ათასი ლარის ოდენობით, (2018: 3,691 ათასი ლარი) რაც წარმოადგენდა სრული მოთხოვნების 80%-ს. (2018: 76%)

კონცენტრაციის რისკი აქვს ჯგუფის მიმდინარე ვადიანი დეპოზიტებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. ჯგუფის დეპოზიტები და ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია ორ ბანკში. რისკი იმართება ნაშთების განთავსებით ფინანსურ ინსტიტუტებში, რომელთაც აქვთ სტაბილური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი საკრედიტო რეიტინგების დამოუკიდებელი მიმნიჭებლის, Fitch-ისაგან (შენიშვნა 14). მევალებების საკრედიტო ხარისხი ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად გადაიხედება, რათა ადრეულ სტადიაზევე განისაზღვროს ფინანსური გაუარესებები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ჯგუფი იყენებს ინდივიდუალური შეფასების მიდგომას, რადგან სავაჭრო მოთხოვნების პორტფელი შედგება მომხმარებელთა ლიმიტირებული რაოდენობისგან, რომელთაც არ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები.

ზარალის მოსალოდნელი განაკვეთი ეფუძნება გადახდის პროფილებს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრამდე 24 თვის განმავლობაში და მოკორესპონდენტო ისტორიულ საკრედიტო ზარალების გამოცდილებას ამავე პერიოდში. ზარალის ისტორიული განაკვეთები კორექტირდება რათა ასახოს მიმდინარე და მომავალში სავარაუდო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების მიერ ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაზე, როგორებიცაა ინდივიდუალური მომხმარებლის სამომავლო მდგომარეობა, სექტორი, რომელშიც მომხმარებელი საქმიანობს და მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც დაფუძნებულია სეზ-ის პუბლიკაციაზე.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს სირთულეები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში, რომლებიც უნდა იქნას გადახდილი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. ჯგუფის ლიკვიდურობის მართვის მიდგომა გულისხმობს, რომ ჯგუფი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას, რამდენადაც შეეძლება, ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდურობა, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულებები, როგორც ნორმალური ისე სტრესული სიტუაციების პირობებში მიუღებელი ზარალის დადგომის ან ჯგუფის რეპუტაციაზე საფრთხის მიყენების რისკის აღების გარეშე.

19 რეალური ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი ჯერჯერობით არ გამოიმუშავებს ფულს და იღებს დაფინანსებას მშობელი კომპანიისა და საკრედიტო ინსტიტუციისგან (სს თიბისი ბანკი). ამისათვის, ჯგუფი ფინანსურ საჭიროებებზე დაყრდნობით აკეთებს ფულადი ნაკადების პროგნოზებს, რომელიც განსაზღვრულია დაგეგმილი მშენებლობისათვის საჭირო საქმიანობებით. ჯგუფი მიზნად ისახავს, რომ დააფინანსოს ჰესის მშენებლობა ფულით, რომელსაც იღებს მშობელი ჯგუფისა და საკრედიტო ინსტიტუციისგან.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, მათი ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილი ვადებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დაფარვის ვადის ცხრილებში მოცემული თანხები არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისგან, ვინაიდან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ღირებულებები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით არსებული გაცვლითი კურსით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

<i>ათას ქართულ ლარში</i>	მოთხოვნამდე ან 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები	1,050	-	268	17,551	-	18,869
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,234	-	-	93,055	120,792	218,081
საიჯარო ვალდებულებები	10	195	59	547	2,223	3,034
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის სამომავლო ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	5,294	195	327	111,153	123,015	239,984

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

<i>ათას ქართულ ლარში</i>	მოთხოვნამდე ან 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები	411	-	11,664	2,786	-	14,861
სხვა ფინანსური ვალდებულებები	132	-	19,553	57,986	84,816	162,487
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის სამომავლო ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	543	-	31,217	60,772	84,816	177,348

საბაზრო რისკი. ჯგუფს გააჩნია პოზიციები, რომლებსაც ეხება საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოური ვალუტაში, (ბ) საპროცენტო განაკვეთის შემცველ აქტივებისა და ვალდებულებებში და (გ) კაპიტალის პროდუქტებში, ყველაში რომელიც რისკიანია ზოგადი და კონკრეტული საბაზრო ცვლილებების მიმართ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

19 რეალური ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ეფუძნება ფაქტორის ცვლილებას ყველა დანარჩენი ფაქტორების უცვლელად დარჩენის შემთხვევაში. პრაქტიკაში ეს ნაკლებ სავარაუდოა, და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილება შეიძლება იყოს დაკავშირებული, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იქნება მერყევი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებების გამო. ჯგუფს აქვს პოზიციები, რომელიც უცხოური ვალუტის კურსებში მერყეობის გავლენის ქვეშ მოექცევა და გავლენას მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ათას ქართულ ლარში	2019		წმინდა პოზიცია	2018		წმინდა პოზიცია
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები		ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	
ლარი	508	(591)	1,099	516	(44)	560
აშშ დოლარი	24,050	(125,250)	149,300	10,447	(107,635)	118,082
ევრო	2,010	(184)	2,194	2	(72)	74
სულ	26,568	(126,025)	152,593	10,965	(107,751)	118,716

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტიციები და არაფულადი აქტივები არ განიხილება, როგორც რაიმე არსებითი სავალუტო რისკის შემქმნელი.

მგრძნობელობის ანალიზი. მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია მოგების ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა ჯგუფის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების გონივრული შესაძლო ცვლილებებისადმი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

ათას ქართულ ლარში	2019	2018
	მოგება ან ზარალი ან საკუთარ კაპიტალზე გავლენა	მოგება ან ზარალი ან საკუთარ კაპიტალზე გავლენა
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	14,930	(9,689)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(14,930)	9,689
ევროს გამყარება 10%-ით	219	(7)
ევროს გაუფასურება 10%-ით	(219)	7

რისკი გამოთვლილია მხოლოდ იმ ფულად ბალანსებზე, რომლებიც დენომინირებულია შესაბამისი ჯგუფის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში. ჯგუფის სავალუტო რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ წარმოადგენს ტიპურ რისკს წლის განმავლობაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს აქვს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების უფრო მაღალი დონის რყევების ზემოქმედების მიმართ რისკი მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ქვემოთ ნაჩვენებია ცხრილი აჩამებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკებისადმი მგრძნობელობას.

ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიან საბალანსო თანხებს, კატეგორიზებულია უადრესი სახელმეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ან დაფარვის ვადების მიხედვით:

19 რეალური ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნამდე	2 თვეზე ნაკლები	2-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
2019 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	18,225	7	4,932	3,457	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	(5,282)	(268)	(17,552)	(19,520)	(83,410)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის განსხვავება 2019 წლის 31 დეკემბერს	18,225	(5,275)	4,664	(14,095)	(19,520)	(83,410)
2018 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	3,440	702	3,795	3,123	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	(423)	(23,395)	(7,627)	(18,204)	(58,100)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის განსხვავება 2018 წლის 31 დეკემბერს	3,440	279	(19,600)	(4,504)	(18,204)	(58,100)

ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო რისკების მართვის მხრივ, ვინაიდან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს რისკი არის უმნიშვნელო ჯგუფის საქმიანობისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ სესხების ღირებულება კაპიტალიზდება, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას არ აქვს გავლენა ჯგუფის საკუთარ კაპიტალზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილია შენიშვნაში 16.

20 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას დასახული ამოცანები მიმართულია ფუნქციონირების უნარის შენარჩუნებისაკენ, რათა განაგრძოს ოპერირება მოქმედი ჯგუფის სახით და მეწილეებს მოუტანოს მოგება, ხოლო სხვა დაინტერესებულ მხარეებს - სარგებლები, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა საკუთარ კაპიტალზე ხარჯების შესამცირებლად. იმისათვის რომ, შენარჩუნდეს ან დაკორექტირდეს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელს, ან გაყიდოს აქტივები რათა შეამციროს ვალი. კაპიტალის ოდენობა რომელსაც ხელმძღვანელობა მართავდა 2019 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 193,650 ათას ლარს (2018: 159,625 ათასი ლარი).

21 გაუთვალისწინებელი გარემოებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა სახელშეკრულებო ვალდებულებები, თავისი კონტრაქტორებისგან შემდგომი 2 წლის განმავლობაში შეეძინა 64,715 ლარის ღირებულების მომსახურებები:

ათას ქართულ ლარში	კონტრაქტის ღირებულება		კაპიტალური ვალდებულებები დამდგარი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		დასადგომი ვალდებულებები მშენებლობის დარჩენილი პერიოდისთვის	
კონტრაქტორი	აშშ დოლარი	ქართული ლარი	აშშ დოლარი	ქართული ლარი	აშშ დოლარი	ქართული ლარი
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	883	2,533	36	103	847	2,430
შპს „ფერი“	27,711	79,466	26,526	76,068	1,185	3,398
JSC Energony და PJSC Kyivmetrobud	33,804	96,939	23,430	67,190	10,374	29,749
Voith Hydro GmbH & Co.KG	14,965	42,915	13,822	39,637	1,143	3,278
Consortium of PetroSGEM Co.Ltd. and IGHolding Rus Joint Stock Company	5,609	16,086	3,458	9,916	2,152	6,171
სულ	82,972	237,939	67,272	192,914	15,701	45,026

ჯგუფი საქართველოს მთავრობის წინაშე ვალდებულია, განახორციელოს მთლიანობაში 65 მილიონი დოლარის ოდენობის კაპიტალური დანახარჯი ჰესის მშენებლობისთვის, რომელიც უკვე განხორციელდა ჯგუფის მიერ (იხილეთ შენიშვნა 1).

შესრულების გარანტია. ურთიერთთანამშრომლობის შეცვლილი და შესწორებული მემორანდუმის თანახმად, რომელიც დამტკიცდა 2015 წლის 16 ივლისს (უახლოესად შეიცვალა 2019 წლის 15 თებერვალს) ჯგუფს, საქართველოს მთავრობასა და სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის, ჯგუფმა საქართველოს მთავრობის წინაშე აიღო ვალდებულება, აეშენებინა ჰიდროელექტროსადგური სულ მცირე 43 მეგავატი და მაქსიმუმ 58 მეგავატი სიმძლავრით მდინარე მტკვარზე, ახალციხეში, 2020 წლის ბოლოსთვის. შესრულების გარანტია 1,000 ათასი დოლარის ოდენობით გაიცა საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ, რათა დაეფარა ჯგუფის შესასრულებელი ვალდებულება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმთან დაკავშირებით.

22 პირობითი ვალდებულებები

დაზღვევა. სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების სტადიაზეა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებული დაზღვევების ბევრი ფორმა ჯერ არ არის ზოგადად ხელმისაწვდომი. ჯგუფს არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა მისი აღჭურვილობების, ბიზნესის შეწყვეტის ან მესამე მხარესთან დაკავშირებული ვალდებულებების ქონებასთან დაკავშირებით ან გარემოსთან დაკავშირებული საფრთხის, რომელიც წარმოქმნილია სხვადასხვა შემთხვევებისგან ჯგუფის ქონებასთან დაკავშირებით, ან უკავშირდება ჯგუფის საქმიანობას. ნაცვლად ამისა, აქტივები, რომლებიც არ არის დაზღვეული ჯგუფის მიერ დაზღვეულია კონტრაქტორების მიერ ჯგუფის სასარგებლოდ. ამჟამად მიმდინარეობს ჯგუფსა და დამზღვევს შორის მოლაპარაკებები და ანაზღაურება ზარალისთვის, რომელიც გამოიწვია გვირაბში გართულებულმა გეოლოგიურმა მდგომარეობამ.

სასამართლო დავა. ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთაც შესაძლოა ჰქონოდა მატერიალური გავლენა ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღწერილი ან განმარტებული მოცემულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

22 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები გადაიხდება და მოწმდება რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ, რომელთაც აქვთ საურავების, ჯარიმების და პროცენტების დაკისრების უფლებამოსილება. ფისკალური წელი ექვემდებარება საგადასახადო ორგანოების მიერ განხილვას მომდევნო სამი წლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ფისკალური წლის განხილვა შეიძლება მოხდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარემოსთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოში გარემოსთან დაკავშირებული რეგულაციები ვითარდება და მთავრობის ორგანოების უფლებამოსილებები მუდმივად გადაიხედება. ჯგუფი პერიოდულად აფასებს საკუთარ ვალდებულებებს გარემოს დაცვის რეგულაციებთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც ვალდებულებები განისაზღვრება, ისინი მაშინვე აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო დავებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების შედეგად, ვერ იქნება შეფასებული, თუმცა შესაძლოა იყოს არსებითი. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე სააღსრულებო გარემოში არსებული კანონმდებლობის ქვეშ, ჯგუფი აკმაყოფილებს საქართველოს გარემოსთან დაკავშირებულ ყველა კანონსა და რეგულაციას.

შესაბამისობა სესხის პირობებთან. ჯგუფი ექვემდებარება მის სესხებთან დაკავშირებულ პირობებს. ამ პირობებთან შეუთავსებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები ჯგუფისთვის, მათ შორის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა ან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოცხადება.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ აკმაყოფილებდა სესხის პირობებს. 2019 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა მიიღო დათმობის წერილი ბანკისგან სესხის პირობების დარღვევაზე, რომელიც ბანკის მიერ არ იყო მიჩნეული, როგორც სესხის ხელშეკრულებისთვის განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის წინაპირობა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი სესხის პირობებს აკმაყოფილებდა.

23 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

გვირაზგამყვანი სამუშაოები. გვირაზგამყვანი სამუშაოები დასრულდა 2020 წლის 6 თებერვალს.

კოვიდ-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელა ინფორმაცია კოვიდ-19-ის (კორონავირუსი) შესახებ. წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, უცნობი ვირუსის შემთხვევების მცირე რაოდენობის შესახებ განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გლობალურად გავრცელდა, და მისი ნეგატიური გავლენა სწრაფად გაიზარდა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ვირუსის გავრცელება არამაკორექტირებელი მოვლენაა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღიდან სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება და გაურკვეველია მისი გავლენა ჯგუფის ოპერაციების ჯაჭვზე.

23 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ამას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება რადგან ჯგუფი საწყის სტადიაზეა. ჰესის გაშვების დაგეგმილი თარიღია 2021 წლის სექტემბერი, შედეგად გაყიდვის ოპერაციები ამ თარიღამდე არ იგეგმება. ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, ადმინისტრაციაში დასაქმებულები მუშაობენ დისტანციურად, სამშენებლო სამუშაოები ახალციხეში გრძელდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა აუცილებელი დამცავი ზომებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და ყველა შესაძლო ნაბიჯს გადადგამს მათ შესამსუბუქებლად.

24 სააღრიცხვო პოლიტიკები იჯარებისთვის 2019 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებოდა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესადარის პერიოდში და რომელიც შეცვლილია ფასს 16-ით იჯარა, შემდეგია:

საოპერაციო იჯარები. როდესაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს, იჯარაში რომელშიც ჯგუფს მეიჯარისგან არ გადაეცემა იჯარის საგნის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი საიჯარო გადასახდელები აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის არაგაუქმებადი პერიოდი რომელშიც მოიჯარეს აქვს აქტივის იჯარის კონტრაქტი ნებისმიერ სამომავლო ვადასთან ერთად რომლის გამოყენების უფლებაც აქვს მოიჯარეს რათა გააგრძელოს აქტივის იჯარა, დამატებითი გადასახადით თუ მის გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისში საიმედოდ გარკვეულია რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას.